# ბოლშევიკური კადრებისათვის

№ 4 — 10 დეკემბერი 1933 წ. — № 4


# ბოლშევიკური საქმეებით შევხვდეთ XVII პარტიულ ყრილობას

## ასი პროცენტით შევასრულოთ სასწავლო გეგმები

## უზრუნველვყოთ აკადემიური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მუშაობის მაღალი მაჩვენებლები

### ბოლშევიკურად შევხვდეთ სოციალისტურ გამარჯვებათა ყრილობას!

1934 წლის 25 იანვარს მოსკოვში შეიკრიბება ჩვენი პარტიის მე-17 ყრილობა.

ენტუზიაზმის და ინიციატივის ახალი ტალღით შეხვდნენ პარტყრილობის მოწვევის ცნობას საბჭოთა კავშირის მუშათა და კოლმეურნეთა მასები. როგორ უფრო უკეთესად, ბოლშევიკურად შეხვდნენ ყრილობას — აი მასების ენტუზიაზმისა და ინიციატივის ამ ახალი აზვირთების ქვაკუთხედი საკითხი. ყველაზე უკეთ ეს გამოიხატეს მოსკოვის და მოსკოვის ოლქის მოწინავე ფაბრიკა-ქარხნების მუშებმა და მუშა-ქალებმა თავის წერილში საბჭოთა კავშირის მუშების და მუშა-ქალების, კოლმეურნეებისა და კოლმეურნე ქალების, ინჟინერებისა და მეცნიერების მიმართ:

**„ყოველმა ჩვენგანმა თავის ქარხანაში, თავის ფაბრიკაში, ტრანსპორტზე, საბჭოთა მეურნეობაში, კოლმეურნეობაში უნდა მოიფიქროს თუ რით აღნიშნავს ის პარტიის ყრილობას. მისი აღნიშვნა შეიძლება მხოლოდ ბოლშევიკური საქმეებით, კარგი, პატიოსანი მუშაობით. არა დეკლარაციები, არამედ საქმე, შრომის ნაყოფიერების ზრდა, თვითღირებულების დაკლება. ახალი კულტურის დანერგვა წარმოების ორგანიზაციაში, — აი რა არის საჭირო".**

ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძთელს თვალუწვდენ ტერიტორიაზე — ყველა ფაბრიკაში, ქარხანაში, საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებში, ცეხებსა და ბრიგადებს შორის, ტრანსპორტზე ყველგან გაიშალა დიადი შეჯიბრება მე-17 პარტყრილობის შეხვედრისათვის ახალი ბოლშევიკური გამარჯვებებით, საუკეთესო მაჩვენებლებით; „პრავდა"-ს მიერ თავის ფურცლებზე შემოღებულ „მე-17 პარტყრილობის სახელობის საკავშირო წითელ დაფა"-ზე მოსახვედრათ.

ჩვენი უნივერსიტეტი — მაღალკვალიფიციური ბოლშევიკური სამეცნიერო კადრების სამჭედლო — ვერ დარჩება განზე საბჭოთა კავშირის მთელი მშრომელი მასების ამ აღმაფრენის მოძრაობიდან. მე-17 პარტყრილობას ჩვენც უნდა შევხვდეთ ბოლშევიკური საქმეებით.

სასწავლო გეგმების 100 პროცენტით შესრულება, არც ერთი ჩამორჩენილი, მიმდინარე სესიების წარმატებით, ჩატარება, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მუშაობის ფართოდ გაშლა, იდეოლოგიურ ფრონტზე ყურადღების კიდევ უფრო გამახვილება, უსასტიკესი დისციპლინის დამყარება, მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლების მიღწევა როგორც აკადემიურ, ისე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობაში, საკ. ცაკის 1932 წლ. 19 სექტემბრის დადგენილების რეალიზაცია,— ყოველივე ეს მოგვცემს უფლებას, ვსთქვათ, რომ ჩვენი უნივერსიტეტი ნამდვილი ბოლშევიკური საქმეებით ხვდება მე-17 პარტყრილობას.

ყოველივე ზემოთჩამოთვლილი ამავე დროს შედის უმაღლეს სასწავლებლების მეორე საკავშირო შეჯიბრების ძირითად მაჩვენებლებში. ამიტომ ამ პირობის შესრულებისათვის ბრძოლა იქნება ამავე დროს ბრძოლა პირველობისთვის საკავშირო შეჯიბრებაში.

ყველა პარტიულმა და კომკავშირის უჯრედებმა, პროფესიონალურმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, კათედრებმა, ფაკულტეტებმა, ცალკე სტუდენტებმა და პროფესორ-ლექტორებმა უნდა გაშალონ დაუღალავი მუშაობა იმისათვის, რომ სახელოვნად შევხვდეთ მე-17 პარტიულ ყრილობას, იმისათვის, რომ შევასრულოთ უმაღლეს სასწავლებლების მეორე საკავშირო შეჯიბრების მაჩვენებლები, რათა მოვიპოვოთ პირველობა.

ბოლშევიკურად შევხვდეთ სოციალისტურ გამარჯვებათა ყრილობას!

### ყველამ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს შეჯიბრებაში

სტუდენტთა ყველა ჯგუფებში, კათედრებზე, ფაკულტეტებზე, სამეცნიერო და ტეხნიკურ მუშაკებში დაიწყო მე-17 პარტიული ყრილობისათვის მზადების და უმაღლეს სასწავლებლების მეორე საკავშირო შეჯიბრების მასალების დამუშავება. არ კმარა მასალების ფორმალურად გაცნობა. მასალების გაცნობა-დამუშავება უნდა ატარებდეს საფუძვლიან, სერიოზულ ხასიათს, რათა ამის საფუძველზე დამუშავებულ იქნას კონკრეტული ღონისძიებანი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის ყველა რგოლებში — ჯგუფებში, ფაკულტეტებზე, ადმინისტრატიულ-სამეურნეო დარგში, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობაში, რათა თითეულ სტუდენტს, პროფესორ-ლექტორს, ტეხნიკურ მუშაკის, კათედრის, ფაკულტეტის, სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის მიერ მე-17 პარტიულ ყრილობასთან და უმაღლეს სასწავლებლების მეორე საკავშირო შეჯიბრებასთან დაკავშირებით თავის თავზე აღებულ ვალდებულებებს ექნეს კონკრეტული, საქმიანი ხასიათი. არ უნდა დარჩეს არც ერთი სტუდენტი, პროფესორ-ლექტორი, ტეხნიკური მუშაკი, რომელიც არ გაეცნობა შეჯიბრების მასალებს (მთლიანად დაბეჭდილია ჩვენი გაზეთის № 3-ში).

შეჯიბრების მასალების გაცნობა-დამუშავება და კონკრეტულ ვალდებულებების აღება მჭიდროთ უნდა იქნას დაკავშირებული მიმდინარე სესიების წარმატებით ჩატარებისათვის ბოლშევიკურ ბრძოლასთან. ამასთან ერთად, პარალელურად უნდა მოეწყოს რაციონალიზატორული ღონისძიებების მიღება. ჩვენს ყურადღებას და მახვილ თვალს არ უნდა გამოეპაროს ჩვენი მუშაობის არც ერთი ნაკლი, რა გინდ „წვრილმანი" არ იყოს იგი. დასახელებულ უნდა იქნას ღონისძიებები ყველა დეფექტების აღმოსაფხვრელად, მუშაობის კიდევ უფრო უკეთ მოსაწყობათ.

პარტყრილობისთვის მზადება და უმაღლეს სასწავლებლების მეორე საკავშირო შეჯიბრებაში მონაწილეობა უნდა გადაიქცეს მძლავრ პერსპექტივად ჩვენი შემდგომი გამარჯვებისათვის აკადემიურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მუშაობის ფრონტზე, მაღალკვალიფიკაციურ ბოლშევიკური კადრების მომზადების ფრონტზე.

ამავე დროს უნდა მოეწყოს მასალების რეგულიარული და სისტემატიური მიწოდება რედაქციისათვის იმის შესახებ, თუ როგორ დამუშავდა ჯგუფში, კათედრებზე, ფაკულტეტებზე, ტეხნიკურ მუშაკებში ყრილობისათვის მზადების და შეჯიბრების საკითხები. როგორია ჯგუფის მდგომარეობა: აკადემიურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მუშაობის დარგში, რამდენია ჩამორჩენილი, რა ზომების მიღებას აპირებს ჯგუფი ჩამორჩენილთა დასახმარებლად, რა კონკრეტული ვალდებულებები იკისრა ჯგუფმა ან თითეულმა ცალკე სტუდენტმა შეჯიბრებასთან დაკავშირებით; რა კონკრეტულ ვალდებულებებს კისრულობს კათედრა, ფაკულტეტი, ტეხნიკურ მუშაკთა კოლექტივი, პარტიისა და კომკავშირის უჯრედები.

რედაქცია მოელის გამოხმაურებას სამეცნიერო მუშაკებისგან, პროფესორ-ლექტორისგან, ტეხნიკურ მუშაკებისგან. შეჯიბრების წარმატებით ჩასატარებლად, მუშაობის კიდევ უფრო უკეთ წარსამართავად მოელის მასალებს თითეული პროფესორ-ლექტორის, კათედრის, ფაკულტეტის, თითეულ ტეხნიკურ მუშაკის შეჯიბრებასთან დაკავშირებით ნაკისრ ვალდებულებათა შესახებ.

## დეკემბერს ვაცხადებთ მე-17 პარტყრილობის სახელობის ლაშქრობის თვედ

**(ტფ. სახ. უნივერსიტეტის პედპერსონალისა და სტუდენტთა კრების მიმართვა ყველა უმაღლესს სასწავლებლისადმი)**

ტფილისის სახ. უნივერსიტეტის პროფესორ-ლექტორთა და დამკვრელთა და დამკვრელ სტუდენტთა საერთო კრებამ, რომელმაც განიხილა, საკითხი პარტიის მე-17 ყრილობისათვის მზადების შესახებ, მიიღო მიმართვა ქ. ტფილისის ყველა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისა და პედპერსონალისადმი. მიმართვაში კრება ხაზს უსვამს იმ უდიდეს წარმატებებს, რომელიც მოიპოვა საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა საკ. კომუნისტური პარტიისა და მისი ბელადის—ამხ. **სტალინის** ბოლშევიკური ხელმძღვანელობით მე-16 პარტყრილობიდან დღემდე და აღნიშნავს:

საწარმოები, საბჭოთა მეურნეობები, კოლმეურნეობები, სამანქანო-სატრაქტორო სადგურები, უმაღლესი, საშუალო და დაბალი საფეხურის სკოლები დიდი მიღწევებით ხვდებიან მე-17 ყრილობას.

დიდი მიღწევებით ხვდება ყრილობას ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიც. იგი ხდება სოციალისტური მშენებლობისთვის ახალი კადრების ნამდვილი ბოლშევიკური სამჭედლოდ. იგი ხდება მეცნიერული მუშაობის ნამდვილ ცენტრად. უნივერსიტეტთან ჩამოყალიბდა და მუშაობენ მთელი რიგი სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტები. უნივერსიტეტმა თავის გარშემო შემოიკრიბა საუკეთესო მეცნიერული ძალები, რომელთა შორის მნიშვნელოვანია პარტიული და კომკავშირული ფენა. გაშლილია ასპირანტურის ინსტიტუტის მუშაობა, რაც უზრუნველყოფს უნივერსიტეტს და ყველა მის სამეცნიერო დაწესებულებას ახალი მეცნიერული კადრებით.

მთელი სასწავლო მუშაობა—სასწავლო გეგმები, პროგრამები, სწავლების პროცესი—ძირითადათ გარდაიქმნა ცაკის 19 სექტემბრის დადგენილების საფუძველზე, დაწყებულია ახალი მშენებლობა, რათა უახლოეს წლებში უზრუნველყოფილი იქნას უნივერსიტეტის ყველა სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებების შეუფერხებელი მუშაობა.

მიუხედავად ამ უდიდესი მიღწევების ჩვენს მუშაობაში მრავალი ნაკლი მოიპოვება.

სწავლების დაგვიანებით დაწყების და მთელი რიგი სხვა მიზეზის გამო პირველ სემესტრის სასწავლო გეგმების შესრულება სერიოზული საფრთხის წინაშე დგას.

ჯერ კიდევ ადგილი აქვს დისციპლინის დარღვევის ფაქტებს, როგორც პედაგოგიურ პერსონალის, ისე სტუდენტთა მხრივ გაცდენის და დაგვიანების შემთხვევებს.

სათანადო სიმაღლეზე ვერ დგას სწავლების ხარისხი. ჯერ კიდევ გვყავს ჩამორჩენილი სტუდენტები.

ახლოვდება ისტორიული დღე—25 იანვარი.

საბჭ. ქვეყნის მთელი სასიცოცხლო ძალები ებმებიან ყრილობისათვის მოსამზადებელ მუშაობაში. ამ საქმეში არ უნდა ჩამორჩეს არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი. ჩვენ მობილიზაცია უნდა ვუყოთ მთელ ძალებს რათა აღმოვფხვრათ გარღვევები და გადამწყვეტი მიღწევებით წარვსდგეთ ჩვენი პარტიის მე-17 ყრილობის წინაშე.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-ლექტორები და დამკვრელი სტუდენტები, შევიკრიბეთ რა ამ ვალდებულებათა გამოსამუშავებლად, რომელთაც უნდა უზრუნველყონ ჩვენი კონკრეტული მიღწევებით შეხვედრა პარტიის მე-17 ყრილობისათვის. **ვაცხადებთ დეკემბრეს მე-17 ყრილობის სახელობის ლაშქრობის თვედ.** ლაშქრობას ვატარებთ შემდეგი ლოზუნგებით:

**1. „პირველი სემესტრის სასწავლო გეგმების მთელი ასი პროცენტით შესრულება".**

ამ მიზნით ვიღებთ ვალდებულებას გამოვიყენოთ ყველა თავისუფალი დღეები და საათები გაცდენილი დროის ასანაზღაურებლად, ჩავატაროთ დამატებითი ლექცია და საათები მასალის დამუშავებისათვის, ჩავაბათ ამ მუშაობაში მთელი პედაგოგიური პერსონალი და სტუდენტობა.

**2. „გაცდენების, დაგვიანების, დისციპლინის დარღვევის არც ერთი შემთხვევა პროფესორ-ლექტორთა შორის. დისციპლინის განმტკიცება სტუდენტობაში".**

**3. ხწავლების ხარისხს და ჩამორჩენილ სტუდენტთა დახმარებას მთავარი ყურადღება".**

ვალდებულებას ვღებულობთ ავამაღლოთ ლექციების და მასალის დამუშავების ხარისხი, მოვაწყოთ ჩამორჩენილ სტუდენტთათვის დამატებითი ლექციები, დამატებითი-ჯგუფობრივი მეცადინეობა, კონსულტაცია საერთო საცხოვრებლებში და სხვ.

აი, კონკრეტული ვალდებულებანი, რომელსაც თავის თავზე ღებულობს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-ლექტორთა მთელი კოლექტივი და სტუდენტობა.

სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-ლექტორთა და დამკვრელ სტუდენტთა საერთო კრება მოუწოდებს ყველა უმაღლეს და უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებს, მათ პარტიულ კომკავშირულ და პროფესიულ ორგანიზაციებს ჩაებან მე-17 ყრილობის სახელობის ლაშქრობაში და დარაზმონ მთელი ძალები არსებული დეფექტების, გარღვევების ლიკვიდაციისათვის, პირველი სემესტრის სასწავლო გეგმების ასი პროცენტით შესრულებისათვის.

გავშალოთ მუშაობა მე-17 ყრილობის საუკეთესო მაჩვენებლებით შესახვედრად!

ვიბრძოლოთ ამხ. ბერიასათვის პარტიის წარდგენის უფლების მოსაპოვებლად.

გაუმარჯოს ჩვენი პარტიის მე-17 ყრილობას.

გაუმარჯოს ჩვენი პარტიისა და მსოფლიო პროლეტარიატის საყვარელ ბელადს ამხ. **სტალინს.**

**ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-ლექტორთა და დამკვრელ სტუდენტთა საერთო კრება.**

### აღებულ ვალდებულებებს ვასრულებთ

**დეკემბრის პირველი ექვს დღიურის განმავლობაში უნივერსიტეტის პროფესორ-ლექტორთა მიერ გარღვევების ლიკვიდაციის მიზნით მიცემულია 114 დამატებითი სალექციო საათი.**

### ფართოდ გაიშალა მოსამზადებელი მუშაობა

ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტორგანიზაციამ, ს. კ. პ. (ბ) მე-17 პარტყრილობის მოწვევასთან, დაკავშირებით და საანგარიშო-საარჩევო კამპანიის ჩატარებისათვის ბოლშევიკურად გააჩაღა მუშაობა.

საქ. კ. პ. (ბ) ორჯონიკიძის რაიონკომის დადგენილების საფუძველზე 29 ნოემბერს უნივერსიტეტის კლუბში შესდგა ორჯონიკიძის რაიონის ყველა უმაღლეს სასწავლებლების საკუთხედების თათბირი, რომელსაც დაესწრნენ: სახუნტის, სახ. სამეურნეო, სატყეო, ზოოვეტერინალური, სახ. კონსერვატორიის, სუბტროპიკული, უცხო ენათა, მარქს-ლენინიზმის წვრების თათბირი გახსნა ორჯონიკიძის რაიონის კომიტეტის კულტპროპაგანდ. გამგემ ამხ. **გაგუნავამ.** თათბირმა მოისმინა სახ. უნივერსიტეტის პარტკომის მდივნის ამხ. **ს. მინდაძის** მოხსენება პარტორგანიზაციების ანგარიშ-ჩაბარების და გადარჩევების ჩატარების შესახებ უმაღლეს სასწავლებლებში.

თათბირმა ს. კ. პ. (ბ) ორჯონიკიძის რაიონის კომიტეტის დადგენილების საფუძველზე დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი საანგარიშო საგ. კამპანიის ბოლშევიკურად ჩატარებისათვის; სახუნტის კომიტეტის ბიურომ მიიღო დადგენილება და კალენდარული გეგმა — სახ. უნივერსიტეტის პარტორგანიზაციაში, საანგარიშო-საგ. კამპანიის ჩატარებისათვის, კომიტეტმა ყველა უჯრედებზე მიამაგრა ბიუროს წევრები.

ა.-წ. 5 დეკემბერს ერთიანმა პარტდღემ დაგვანახა, რომ უჯრედები ბოლშევიკურათ ემზადებიან საანგარიშო საგ. კამპანიისათვის.

ერთიან პარტდღეს ყველა ცალკე კომუჯრედების ღია კრებაზე ქ. ქ. და უპარტიო მასასთან ერთად, დამუშავდა ს. კ. პ. (ბ) ა.-კავკასიის და აქ. კ; პ; (ბ) ცენტრალურ კომიტეტის გადაწყვეტილებანი პარტორგანიზაციების საანგარიშო საგ. კამპანიის და აგრეთვე მე-17 პარტყრილობის მოწვევის სამზადისის შესახებ.

სახუნტის კომუჯრედებმა: ისტ. ლიტ. ეკონომიური, საბუნების მეტყველო, მუშფაკი, სამართლის და აღმშენებლობის, ასპირანტურის და, ფიზიკო-მათემატიკურმა, — მიიღეს მთელი რიგი ვალდებულებანი: მე-17 პარტყრილობასთან დაკავშირებით და პარტორგანოების საანგარიშო საგ. კამპანიების ბოლშევიკურად ჩატარებისათვის. მაგ.: ის. ტ. ლიტ. და ეკონომიურ ფაკულტეტის კომუჯრედებმა საერთო კრებაზე, დეკემბრის თვე გამოაცხადეს მე-17 პარტყრილობის ლაშქრობის თვედ, არსებულ დეფექტების ლიკვიდაციისათვის და სასწავლო საწარმოო გეგმების პირველი ნახევარი წლის, — მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლების შესრულებისათვის, უნივერსიტეტის პარტუჯრედებმა პარტიის ქვედა ორგანოების საანგარიშო-საარჩევო კამპანია ფართოდ დაუკავშირეს უმაღლეს სასწავლებლების, მეორე საკავშირო შეჯიბრებაში ჩაბმასთან დაკავშირებით ახალ ვალდებულების მიღებას. მაგ.: საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის, კომუჯრედის საერთო კრებამ მიიღო ვალდებულებანი და სოც-შეჯიბრებაში გამოიწვია საბჭოთა და სამართლის ფაკულტეტის კომუჯრედი.

კომუჯრედები იძლევიან ბოლშევიკურ სიტყვას, რომ მოიპოვებენ უფლებას უნივერსიტეტის პარტორგანიზაცია პატაკით წარუდგეს ამხ. ლავრენტი ბერიას.

ყველა უჯრედების კრებებზე გამოყოფილი იქნენ, 1. მეცნიერების დაუფლების დარგში პარტმუშაობის შემსწავლელი და 2. სასწავლებლის მსმენელების და ადმინისტრატიული ტეხპერსონალის პედაგოგიური შემადგენლობის სოციალისტურად აღზრდის საქმეში, შემოწმებული ბრიგადები. მოწინავე მტკიცე კომუნისტებისაგან. უნივერსიტეტის პარტორგანიზაციაში პარტჯგუფებისა და პარტორგების ანგარიშ-ჩაბარება გადარჩევა უნდა დამთავრდეს 15 დეკემბრამდე, ხოლო 1 დეკემბრისათვის უჯრედების ბიუროების გადარჩევები. სახ. უნტის პარტორგანიზაციის კონფერენციის მოწვევა განზრახულია 24 დეკემბრისათვის.

**რ. ოთხმეზური.**
**გ. ბიორგობიანი.**

### პროგრამები დავიყვანოთ—სტუდენტობამდე

მთელ რიგ დაბრკოლებების მიუხედავათ, უნივერსიტეტის სასწავლო ნაწილის მიერ მიღებულ ენერგიულ ზომების შედეგად, ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტობა 15 დეკემბრამდე მიიღებს გამომცემლობისათვის დასაბეჭდათ გადაცემულ პროგრამების დიდ უმრავლესობას.

მაგრამ, სამწუხაროდ, აქამდე ასეთივე ენერგიული ზომები არ არის მიღებული უკვე დაბეჭდილი პროგრამების დასაყვანად თითეულ სტუდენტამდე. ჩვენი კიოსკის გამგის ცნობით, სტუდენტების მიერ წაღებულია მხოლოდ-გასავრცელებლად გადაცემული პროგრამების 25 პროცენტი, დანარჩენი 75 პროც. ისევ კიოსკში აწყვია.

საჭიროა სასწავლო ნაწილმა, ფაკულტეტებმა, კათედრებმა ცალკე საგნების ხელმძღვანელებმა, სტუდენტთა ორგანიზაციებმა მიიღონ ზომები პროგრამების დასაყვანად თითეულ სტუდენტამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში პროგრამების ბეჭდვას ყოველგვარი აზრი ეკარგება.

### ახალი მიღწევებით შავხვდებით ყრილობას

ეკონომიური ფაკულტეტის თეორიული სექციი ბოლშევიკურად იბრძვის სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის. ჯგუფში 25 სტუდენტია. აქედან 6 პარტწევრი და 14 კომკავშირელი. მათ შორის უმრავლესობა მუშები და კოლმეურნეები არიან. ჯგუფმა თავი დამკვრელად გამოაცხადა. დამკვრელობის შემოწმებამ მოსწრების შესრულება მოგვცა 99 პროცენტით.



ეკ. ფაკ. თეორიული სექციის პარტ. ჯგუფ. მდივანი ამხ. პატარაია

მე-17 პარტყრილობასთან დაკავშირებით ავიღეთ ახალი ვალდებულებები სასწავლო გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის. მთლიანად აღმოვფხვრით უმიზეზო გაცდენას.

განსაკუთრებით ძლიერ ბრძოლას ვაწარმოებთ კომუნისტების ავანგარდული როლის განმტკიცებისა და იდეოლოგიური ფრონტის განმტკიცებისათვის. დაუნდობელ კრიტიკით ვხვდებით ზოგიერთ ლექტორების და სტუდენტების მხრივ, ანტი-მარქსისტულ აზრების გამოვლინებას.

მე-17 პარტყრილობის მოწვევასთან დაკავშირებით ჩვენს წინაშე დასმულ ახალ ვალდებულებებს ვუპასუხებთ ახალი მიღწევებით — სწავლების ხარისხის ამაღლების საქმეში.

ბ. პატარაია

# უმაღლესი სასწავლებლების შეჯიბრების გარეშე არ უნდა დარჩეს

## არც ერთი სტუდენტი, არც ერთი ჯგუფი, არც ერთი კათედრა, არც ერთი ფაკულტეტი, არც ერთი სამეცნიერო-საგამოკვლევო ინსტიტუტი, არც ერთი პროფესორ-ლექტორი, არც ერთი ტექნიკური მუშაკი

ეროვნული

## მიმართვა მოსკოვის მექ.-სამანქანათ-მშენებლო ინსტიტუტის

**პროლეტარულ სტუდენტობას, პარტიულ - კომკავშირულ ორგანიზაციას და პროფესორ - ლექტორთა შემადგენლობას.**

**ძვირფასო ამხანაგებო!**

[illegible] უმაღლესი სასწავლებლების პირველ საკავშირო შეჯიბრებაში. და სწორედ იმ გარემოებამ, რომ თქვენ ხართ მოწინავენი, რომ თქვენი ინსტიტუტი არის სანიმუშო სასწავლებელი, გამარჯვებული საკავშირო შეჯიბრებაში, გადაგვაწყვეტინა ჩვენ შეჯიბრებაში ჩაბმა თქვენთან.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც მოეწყო საქ. კ. პ. (ბ) ცეკას და საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების თანახმად, ამზადებს 5000-დე სტუდენტს და აერთიანებს 5 სამეცნიერო - საკვლევ ინსტიტუტს. ტფ. სახ. უნივერსიტეტი წარმოადგენს მაღალკვალიფიციურ ნაციონალური კადრების სამჭედლოს და საქართველოს უმაღლეს მეცნიერულ ცენტრს.

უდიდესი დაბრკოლებების გადალახვა გვიხდება ჩვენ იმისათვის, რომ გადავაქციოთ უნივერსიტეტი მეცნიერებისა და კულტურის ნამდვილ ბოლშევიკურ ციხე-სიმაგრედ. გვიხდება ნაციონალისტური და კონსერვატიულად განწყობილი პროფესორის წინააღმდეგობის დაძლევა, ჩვენი სახელმძღვანელოების გაწმენდა ნაციონალისტურ და ბურჟუაზიულ - იდეალისტურ ნაგვისაგან, ნაციონალიზმის, კონტრ - რევოლიუციურ და ანტი - მარქსისტულ შეხედულებათა მხილება, ძველი უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ „მეცნიერულ“ შრომებში, ვაწარმოებთ ბრძოლას „აპოლიტიურობის“ წინააღმდეგ სწავლებაში, მუშაობის ძველი მეთოდების წინააღმდეგ, ბრძოლას მთელი ჩვენი მუშაობის ყველგან და ყოველთვის, ყველა რგოლებში. მარქსისტულ - ლენინური იდეოლოგიით გაჟღენთისათვის, ბრძოლას, მარქსისტულ - ლენინურად აღზრდილი კადრებისათვის.

ყველა სიძნელეთა მიუხედავათ, პარტიის გენერალური ხაზის გადაუხრელად გატარების და საკ. ცაკის 1932 წ. 19 სექტემბრის დადგენილების რეალიზაციისათვის ბოლშევიკურად ბრძოლის საფუძველზე, ჩვენ შედარებით მოკლე დროის განმავლობაში დიდ შედეგებს მივაღწიეთ მთელი ჩვენი მუშაობის გარდაქმნის მხრივ, საქართველოში მეცნიერებისა და კულტურის ნამდვილი ბოლშევიკური ცენტრის შექმნის გზაზე; ბევრი გავაკეთეთ, მაგრამ კიდევ უფრო მეტი გვაქვს გასაკეთებელი.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ თქვენთან შეჯიბრება გადაიქცევა მძლავრ ბერკეტად ჩვენი შემდგომი გამარჯვებებისათვის, დახმარებას გაგვიწევს ჩვენ გადამწყვეტ წარმატებებს მივაღწიოთ იმ ამოცანების განხორციელებაში, რომლებიც ჩვენი უნივერსიტეტის წინაშეა დასმული პარტიისა და ხელისუფლების მიერ.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ **თქვენ ყოველმხრივ დახმარებას გაგ**ვიწევთ ამ საქმეში — თქვენი მუშაობის გამოცდილების გაზიარებით, სწავლების საქმის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მუშაობის დაყენების და იმის გაცნობით, თუ როგორ მოიპოვეთ თქვენ გამარჯვება პირველ საკავშირო შეჯიბრებაში.

შეჯიბრების პირობები, რომლებსაც საფუძვლად უდევს „კომსომოლსკაია პრავდა“-ში გამოქვეყნებული მასალები, გადმოგეგზავნებათ თქვენ ამ დღეებში.

**ტფ. სახ. უნივერსიტეტის რექტორი: ლ. ალნიაშვილი.**
**პარტიული კომიტეტი: ს. მინდაძე.**
**ადგილკომი: ი. ხირსელი.**
**კომკავშირის კომიტეტი: ი. ბაჯაძე.**
**ალმასბიურო: კ. ბარათელია.**
**ს. მ. ს. ადგ. ბიურო: შ. სიხარულიძე.**

## ვიბრძოლოთ შეჯიბრების ფორმალურად გაშლის და ცრუდამკვრელობის წინააღმდეგ

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს უნივერსიტეტში დიდი მიღწევები გვაქვს, სოც - შეჯიბრებისა და დამკვრელობის საქმეში, არის ჯგუფები, სადაც მუშაობის ეს სოციალისტური მეთოდები მხოლოდ ფორმალურად არის გაშლილი; კომკავშირის საგადარჩევო კამპანიამ თვალსაჩინო დეფექტები გამოააშკარავა ამ მხრივ. გარდა იმისა, რომ სოც-შეჯიბრება და დამკვრელობა ფორმალურ ხასიათს ატარებს, შეჯიბრების შემოწმებას ზერელე, სეზონური ხასიათი აქვს, არავინ არ უწევს კონტროლს იმას, თუ როგორ სრულდება შეჯიბრების მუხლები, დროულად არ ხდება ცრუ - დამკვრელების გამომჟღავნება.

მაგალითად, კომკავშირის საგადარჩევო კამპანიის დროს, ეკონ. ფაკ. მე-3 კურსის მეოცდაათე ჯგუფში კომორგმა განაცხადა, რომ **„ყველა ჩაბმულია შეჯიბრებაში, ყველა დამკვრელია, ყველამ შეასრულა შეჯიბრების პირობებიო“. გამოირკვა** კი, **რომ** ამ მთლიანად **„დამკვრელ ჯგუფში“ ერთი კომკავშირელი დარჩენილა, ოთხმა კომკავშირელმა კი თითო და ზოგმა ორ საგანში სუსტები მიიღო.**

ანდა ეკ. ფაკულტეტის მე-2 კურსის პოლიტ - ეკ. განყოფილებაზეც „ყველა ჩაბმულია შეჯიბრებაში, სტუდენტების 50 პროც., „დამკვრელია“, არ არის არცერთი სტუდენტი, რომელსაც არ ქონდეს ნაკისრები ვალდებულება — „უმიზეზოდ არ გავაცდენ არც ერთ სამეცადინო საათსო“. მაგრამ არ არის ლექცია, რომელსაც 8—9 სტუდენტი არ აკლდება.

რომ თვალი გადაავლოთ სოც-შეჯიბრების ხელშეკრულებებს, ბევრი მათგანი ზერელე, არაკონკრეტულ ხასიათს ატარებს. აიხსნება ეს იმით, რომ ჯგუფში მისდევენ რიცხვობრივ მაჩვენებლებს და ივიწყებენ ხარისხს.

ყველა ეს დეფექტები უნდა აღმოიფხვრათ. ნამდვილი სოც - შეჯიბრება და ნამდვილი დამკვრელობა უნდა გადაიქცეს ჩვენი მუშაობის ღერძად, უნდა გაძლიერდეს ხელმძღვანელობა, შემოწმება, ბრძოლა ცრუდამკვრელობასთან, არაკონკრეტული ვალდებულებების მიღებასთან თავის თავზე.

**ს. ფ.**

## პარტ-ჯგუფორგები კარგად მუშაობენ

ეკონომიური ფაკულტეტის პარტორგანიზაციამ სამაგალითოდ გაშა-



ამხ. მენაბდე

ლა მუშაობა სასწავლო გეგმების შესრულებისა, შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და სტუდენტთა აკადემიური დონის ამაღლებისათვის.

სანიმუშო მაჩვენებლები აქვთ პარტ ჯგუფ - ორგანიზატორებს ამხ. **გ. პატარაიას, შ. მენაბდეს, ა. რუხაძეს** და **ერქომაშვილს,** რომელთაც სოც-შეჯიბრის და დამკვრელობის დროულად და სათანადოთ გაშლით უზრუნველყვეს გეგმების შესრულება, 100 პროც.

ჯგუფში ჩამორჩენილი სტუდენტები აყვანილი არიან ბუქსირზე. პარტგადაიარებებთან დაკავშირებით, ფართოდ გაიშალა მუშაობა ყოველგვარი დეფექტების აღმოსაფხვრელად, რისთვისაც დასახულია კონკრეტული ვალდებულებები. ჯგუფი მთლიანად ჩაბმულია ნებაყოფლობით საზოგადოებებში. სისტემატიურად გამოდის კედლის გაზეთი. გაზეთი „ბოლშევიკური კადრებისათვის“ გავრცელებულია 100 პროც.

საჭიროა მუშაობის გარდაქმნა დაუკავშირდეს გეგმების 100 პროც. შესრულების, შრომის დისციპლინის განმტკიცების, და სტუდენტთა აკადემიური დონის ამაღლებას.

**ეკ. ფაკ. პარტუჯრედის პ. მ. მდივანი: ძულიაშვილი.**

## როგორ მუშაობს ჩვენი პარტჯგუფი

**(ისტ. ლიტ. ფაკულტეტის პარტორგის ამხ. დ. ჩილაჩავას წერილი)**

მუშაობა სექტემბრის ბოლო რიცხვებიდან დავიწყეთ. სამუშაო გეგმის მიხედვით სისტემატიურათ ვიწვევდით ჯგუფის კრებას სხვადასხვა საკითხებზე. პირველ ხანებში დისციპლინა ჯგუფში მოისუსტებდა: უმიზეზოთ აცდენდენ ლექციებს, დაბალი იყო ლექციების შეთვისების ხარისხი და სხ. სექტემბრიდან 1 დეკემბრამდე უნდა ჩატარებულიყო სულ 4312 სტუდ.-საათი. გაცდა 1186. ლექტორ - პროფესორებმა გააცდინეს 730 სტუდ-საათი. პარტჯგუფმა და სამკუთხედმა დამკვრელობისა და სოც - შეჯიბრების ფართოდ გაშლით ნოემბრის უკანასკნელ დეკადაში მდგომარეობა საფუძვლიანად გამოასწორა, დეკემბრის თვე გამოცხადდა დამკვრელ თვედ. **„ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ მე-17 პარტყრილობას“,**— ასეთია ჩვენი საბრძოლო ამოცანა.

ჩვენი ჯგუფი აერთიანებს სულ 41 სტუდენტს: 4 პარტიის წევრ-კანდიდატი, 27 კ. კ. წევრი და 10 უპარტიო. ჯგუფში ფართოდ გაშლილია კულტ-მასიური მუშაობა. დამკვრელობაში ჩაბმულია 23 პარტ. და კ. კ. წევრი, სოც - შეჯიბრებაში 11. მთავარ ყურადღებას ჯგუფში ვაქცევთ, მარქსისტულ - ლენინურ თეორიის დაუფლების საქმეს. ჯგუფი 100 პრ. გაერთიანებულია სხვადასხვა სახის პოლიტსკოლებში. უპარტიოებიც მარქსისტულ - ლენინურ თეორიით შეიარაღების საქმეში საუკეთესო მაჩვენებლებს იძლევიან. პარტჯგუფის მიერ მოწყობილ შაბათობებში სისტემატიურად მონაწილეობს სტუდენტთა 80 პროც.

მიუხედავად მრავალი მიღწევებისა, გვაქვს ნაკლიც. ადგილი აქვს



ამხ. ჩილაჩავა

კიდევ გაცდენებს, ზოგიერთები ჯერ კიდევ ვერ ამართლებენ სოც - შეჯიბრება - დამკვრელობის მუხლებს, და სხვ.

საანგარიშო - საგადარჩევო კამპანიასთან დაკავშირებით ჩვენ სიტყვას ვაძლევთ პარტკომს, კომუჯრედს, რომ მე-17 პარტყრილობას შევხვდებით ახალ მიღწევებით.

## გაცხოველებით ვემზადებით სესიებისთვის

სახ. უნივერსიტეტი ტფ. უმაღლეს სასწავლებლებიდან პირველი ჩაება უმაღლეს სასწავლებლების მეორე საკავშირო შეჯიბრებაში და ბოლშევიკურად იბრძვის მაღალი მაჩვენებლებისათვის.

დეკემბერი გამოცხადებულია დამკვრელ თვედ ჩამორჩენის ლიკვიდაციისა და ზამთრის სესიების მაღალი მაჩვენებლებით დამთავრებისათვის.

სხვა ნაკლოვანებების აღმოფხვრასთან ერთად შეჯიბრების წარმატებით დამთავრებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სტუდენტთა საცხოვრებლების კარგად მოწყობას. სტუდენტთა ქალაქში გასულ წელთან შედარებით წელს უკეთესი მდგომარეობაა. საბუნებისმეტყველო და სამართლის ფაკულტეტების სტუდენტთა საცხოვრებელ კორპუსებში გაცხოველებული მუშაობაა გაშლილი სტუდენტთა საცხოვრებელი და მუშაობის პირობების გასაუმჯობესებლად.

საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის დეკანმა ამხ. **ნ. კეცხოველმა** ორჯერ დაათვალიერა სტუდენტთა ბინები, სათანადოთ შეისწავლა სტუდენტთა ცხოვრების და მეცადინეობის პირობები. მისივე ინიციატივით 7 დეკემბრიდან ბუნებისმეტყველ სტუდენტებისათვის მოეწყო კონსულტაცია სპეციალურ სასესიო საგნებში; კონსულტაციისათვის მორიგეობას ეწევა 14 ასისტენტი და ასპირანტი.

მაგრამ სესიებისათვის წარმატებით მომზადების საქმეში ხელს გვიშლის მთელი რიგი დეფექტები:

სტუდ. ქალაქის სამმართველომ დროზე ვერ დაამთავრა გათბობის სისტემის მოწყობის სამუშაოები (საერთოდ ეს სამუშაოები ძლიერ ნელი ტემპით მიმდინარეობს).

მოუწესრიგებელია განათების საკითხი— სწორედ სამუშაო საათებში 7-9 საათამდე და ზოგჯერ მთელი ღამით წყდება სინათლე. ამ საკითხის მოგვარება, ვფიქრობთ, შესაძლებელი იქნებოდა, რომ სტ. ქალაქის სამმართველოს დროზე გადაედგა სათანადო ნაბიჯები.

ეს ორი საკითხი—გათბობის და განათების სასწრაფოდ უნდა მოგვარდეს.

**ტ. ხიჩუა.**

## რა მოგვცა ათდღიურმა შეკრებამ

სიტეტშია შემოღებული. დიდიდან უმაღლესი ჯარის გარეშე მზადების შემოღებისა, უნივერსიტეტში ფიზ.-მათემატიკურ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე შერჩეულ სტუდენტთაგან ჩამოყალიბდა ბატარეა.

რომ გასამხედროებულ სტუდენტობას ადვილად დაეძლია უმაღლესი საარტილერიო მომზადების თეორიული კურსი და ნათელი წარმოდგენა მიეღო მუშურ - გლეხური წითელი არმიის აღზრდა - მომზადებაზე, ჩატარდა გასამხედროებულ სტუდენტთა ათდღიური შეკრება.

დროის სიმცირის მიუხედავათ გასამხედროებულმა სტუდენტობამ საარტილერიო ლეგიონში მტკიცე ბოლშევიკური ხელმძღვანელობით თვალსაჩინო ნაყოფი მიიღო.

სტუდენტებმა მიიღეს სამწყობრო მომზადების წინასწარი ცოდნა, იცნეს გაეცნენ სამხედრო იარაღების (შაშხანა - თოფი, ქვემეხი). მოხმარებას ბრძოლის პროცესში და შეისწავლეს მათი ნაწილები.

ამასთან ერთად გასამხედროებულმა სტუდენტობამ მიიღო პირველი გაკვეთილი იმ ფოლადისებური დისციპლინის შესათვისებლად, რომელიც ასე ურყევად და ძლევამოსილად ხდის წითელარმიას და, რომელიც თითოეული სტუდენტისათვის საჭიროა ყოველგან და ყოველთვის.

**სტ. ფ. სიგუა.**

## რუსული ენის დაუფლებისთვის

საქ. კ.პ. ც.კ.-ის ა-წ. 2 ოქტომბრის დადგენილება ჩვენს სასწავლებლებში რუსული ენის სწავლების დაყენების შესახებ წარმოადგენს დიდმნიშვნელოვან დოკუმენტს, რომელშიაც დროულად და მკვეთრად არის დასმული ერთერთი მტკივნეული მხარე ახალი კადრების მომზადების საქმეში და მოცემულია ამომწურავი მითითებანი ამ სატკივარის საბოლოოდ განსაკურნებლად.

ჩვენი ახალგაზრდობა მეცნიერების დაუფლებისათვის ბრძოლაში რუსული ენის უცოდინარობის გამო უთანაბრო მეტოქის როლში გამოდის, რუსული ენის უცოდინარობა ფრთებს აკვეცს ჩვენი კადრების შემოქმედებითი შესაძლებლობას, უვიწროებს და უზღუდავს მათ სამოქმედო ასპარეზს. აღნიშნული დადგენილება წარმოადგენს მიჯნას, რომლის გადაღმა რჩება შოვინისტური ინტელიგენციის სულისკვეთების გადანაშთები—რუსული ენის მიმართ ყრუ და მუნჯი მძულვარების სახით; სკოლებისა და პედაგ.-ადმინისტრატიული პერსონალის ნაწილის მხრივ რუსული ენის სწავლების პოლიტიკური და კულტურულ - განმანათლებელი როლის ოპორტუნისტული შეუფასებლობა ხოლო გადმოღმა კი რუსული ენის დაუფლების აქტუალური ამოცანა; ამ ამოცანის — ყურადღების ცენტრში მოთავსება; ამ ამოცანის გადაწყვეტის ირგვლივ გაცხოველებული პედაგოგ-მეთოდ. მუშაობა; ამ ამოცანის საბრძოლო-დაკვრითი წესით გადაწყვეტისათვის სამოქმედო-ოპერატიული გეგმები, და ამ გეგმების კვალობაზე სათანადო ტემპებით წინსვლა.

ჩვენი ახალგაზრდა უნივერსიტეტიც, რომელიც მოწოდებულია სოციალიზმის მშენებელ ქვეყანას მშენებლობის ყველა ფრონტისათვის მაღალ—კვალიფიციური, მეცნიერების უახლესი მიღწევების ღრმა ცოდნით აღჭურვილი კადრები მისცეს, სათანადოდ გამოეხმაურა ცეკას ამ დადგენილებას და თავის მუშაობაში რუსული ენის სწავლების ფრონტზე გარკვეული გარდატეხა მოახდინა. ეს გარდატეხა გამოიხატა იმაში, რომ რუსული ენა სასწ. ნაწილის ყურადღების ცენტრში მოექცა: სასწ. ნაწილმა ისტ. ლიტ. ფაკულტეტის თეორიული ენერგიული დახმარებით შესძლო ხანმოკლე ვადაში, ც.კ.-ის დადგენილების მითითების თანახმად, რუსული ენის და ლიტერატურის ახალი განყოფილების ჩამოყალიბება (3 ჯგუფი, დაახლ. 120 კ.) და უზრუნველყო ამ განყოფილებაზე ნორმალური მეცადინეობის დაწყება; გაცხოველდა სასწ. ნაწილთან არსებული რუს. ენის საგნობრივი კომისიის მუშაობაც: ორვა სხდომა მოანდომა კომისიამ საორგანიზაციო და პედაგ.-მეთოდ. საკითხებს, დაამუშავა პროგრამები; შეადგინა წლიური კალენდარული საწარმოო გეგმა, რომლითაც გათვალისწინებულია მთელი რიგ პედაგ.-მეთოდ. და სამეცნ. საკვლევი ხასიათის მოხსენებათა ორგანიზაცია; გამოიმუშავა ღონისძიებათა მთელი წყება რუსული ენის სწავლების უკეთესად დაყენებისათვის და სხ.; რუსული ენის სწავლების საკითხებით დაინტერესდა უნივერსიტეტის სისტემაში შემავალი სხვადასხვა პედაგ. მეცნ.-კვლევითი ხასიათის ორგანიზაციაც („ელხი“. მარის სახ. საენათმეცნ. წრე და სხვა): უკვე მოეწყო რამოდენიმე მოხსენება და განზრახულია კიდევ მოხსენებათა მთელი ციკლი რუსული ენის სწავლების თეორიული და პრაქტიკული საკითხების შესახებ და ა. შ. ბევრი გაკეთდა, მაგრამ ბევრია კიდევ გასაკეთებელი.

ცეკა-ის დადგენილებაში გარკვეულად იყო მითითებული საათების გადიდების საჭიროებაზე. ჯერჯერობით კი ჯგუფებში საათების რაოდენობა იგივე დარჩა. ალბად მეორე სემესტრში შევა დანაკლისი 120 საათამდე (ე.ი. 48 საათის ნაცვლად ჯგუფებს 80 ს. ექნებათ მიცემული), მაგრამ რუსული ენისადმი ყურადღების გამახვილების მიზნით გაცილებით ეფექტიური იქნებოდა, რომ ნაწილი ამ მოსამატებელი საათებისა მიცემული ყოფილიყო ამ სემესტრშივე. როგორც აღნიშნული იყო, რუსული ენა სასწ. ნაწილის ყურადღების ცენტრში მოექცა, მაგრამ ჯერ კიდევ აქვს ადგილი ამ საგნის შეუფასებლობის რეციდივებს, რაც გამოიხატება იმაში, რომ ზოგიერთ ჯგუფს ამ საგნისთვის გარკვეული აუდიტორია არა აქვს; ყო შემთხვევა, როდესაც ამ საგნის ხელმძღვანელთან შეუთანხმებლოვ ცხრილში ცვლილების შეტანის გამო ჯგუფს რუსული ენის საათები გაუცდა და სხ.

გადავიდეთ რუსული ენის და ლიტ. კათედრის მუშაობაზე. მართალია, რუსული ენის ლექტორების მუშაობა გაერთიანებულია სასწ. ნაწილთან არსებულ საგნობრივ კომისიაში, მაგრამ ეს გარემოება სრულიადაც არ ათავისუფლებს კათედრას მოვალეობისაგან—აქტიური მონაწილეობა მიიღოს ც.კ.-ის დადგენილების რეალიზაციის საქმეში, თავისი ავტორიტეტული სიტყვით ხელი შეუწყოს ჩვენში „დავეუფლოთ რუსულ ენას“ ლოზუნგის განხორციელებაში. კათედრა კი ჯერჯერობით დუმს, თითქოს რუსული ენის სწავლების საკითხი მისთვის სრულიად უცხო და გარეშე იყოს.

არც თვით საგნობრივი კომისიის მუშაობაა უნაკლო. ზევით მოვიხსენიეთ, რა გააკეთა მან 2 ოქტომბრის დადგენილების რეალიზაციისათვის. უდავოა, რომ კომისიას აქვს ამ მხრივ მიღწევები. მაგრამ აქ საკითხავია, რა გააკეთა მან, ანუ უკეთ, რა გავაკეთეთ ჩვენ—კომისიის წევრებმა და ჯგუფებში საგნის ხელმძღვანელებმა— ამ დადგენილების სტუდენტთა მასების შორის პოპულიარიზაციისთვის, „დავეუფლოთ რუსულ ენას“ ლოზუნგის ირგვლივ სტუდენტთა მასების დარაზმვისათვის? თითქმის არაფერი. ის საგრძნობლად დიდი მუშაობა, რომელიც წარმოებს კომისიაში სწავლების საუკეთესოდ წარმართვისათვის, ჯერ-ჯერობით კომისიის ფარგლებს ვერ გასცილდა. აუცილებლივ საჭიროა, რომ კომისიის სხდომები ღია იყოს სტუდენტთა წარმომადგენლებისთვის, რომ ეს უკანასკნელნი აქტიურად ჩაბმულ იყვნენ საგნობრივი კომისიის პედგ.-მეთოდ. მუშაობაში. მაგრამ არც ეს იქნებოდა საკმარისი. საქმე მოითხოვს, რომ კომისიამ თავისი მუშაობა თავის ფარგლებს გამოაცილოს, საჯარო ტრიბუნაზე გამოვიდეს, ც. კ-ის დადგენილების უდიდესი მნიშვნელობის შესახებ სტუდენტთა მასებს ესაუბროს არა მარტო აუდიტორიაში ლექციების დროს, როცა სიტყვა მოიტანს, არამედ სპეციალურად ამ მიზნით მოწყობილ სხდომებზე.

ალბად, ნაწილობრივ მაინც, კომისიის მუშაობის ამ ნაკლით აიხსნება ის გარემოება, რომ სტუდენტობაში საკმაოდ საჩინო ვერ არის გარდატეხა რუსული ენისადმი დამოკიდებულების საქმეში. იმას ვერავინ იტყვის, რომ ჩვენი სტუდენტობა არ გრძნობდეს რუსული ენის ცოდნის საჭიროებას, არ გრძნობდეს ამ მხრივ თავის სისუსტეს, არ ჰქონდეს სურვილი ამ სისუსტის დაძლევისა, არ იყოს მოწადინებული, დაეუფლოს რუსულ ენას. ოღონდ ჯერ-ჯერობით სიტყვა საქმედ ვერ გადაუქცევია, ჯერ-ჯერობით მის სურვილსა და მისწრაფებას ისევ დეკლარაციის დონე აზის, ჯერ კიდევ საბრძოლო ლოზუნგი—„დავეუფლოთ რუსულ ენას!“—ჩვენს სტუდენტობას თავის ყოველდღიურობაში ვერ ჩაუქსოვებია. სტუდენტობის საგრძნობ ნაწილს რუსული ენის შესასწავლად ყოველდღიური, სისტემატიური, ენერგიული მუშაობის აუცილებლობის შეგნება ჯერ ძვალს და რბილში არ გასჯდომია; ვერ შეუგნია, რომ მხოლოდ და მხოლოდ ლექციურ საათებში ენის შესწავლა შეუძლებელია, რომ რაც უნდა კარგი იყოს მასწავლებელი, რაც უნდა საუკეთესო მეთოდით ასწავლიდეს იგი, ენას ვერ დაეუფლები, თუ თვითონ ერთი ათად მეტი არ იმუშავე; ვერ მოუხერხებია სტუდენტს, თავისი დროის ბიუჯეტი ისე გაანაწილოს, რომ რუსულ ენას ყოველდღიურად თითო საათი მაინც შეხვდეს. არიან ისეთებიც (მათი რიცხვი საერთოდ მცირეა), რომლებშიც გარდატეხა რუსული ენის მიმართ სულაც არ მომხდარა: ხშირია ამათ მიერ ლექციების გამოტოვება, დაგვიანება, მუშაობისადმი ყურადღების უქონლობა, საჭირო სასწავლო ნივთების თანარქონა, ლექციების დროს სხვა საავნით ან სხვა საქმით გართობა და სხვ. არის კიდევ გაცილებით უფრო მცირერიცხოვანი ჯგუფი სტუდენტებისა, რომლებმაც რაიმე ბედნიერი შემთხვევითობის გამო სტუდენტთა უმრავლესობაზე უკეთ იციან რუსული და ამით, ცოტა არ იყოს, „ყოყოჩობენ“—სუსტ ამხანაგებთან ერთად ჯდომას და საერთო მუშაობაში მონაწილეობის მიღებასაც თაკილობენ, თავისი ცოდნის დონით კმაყოფილნი მის ამაღლებაზე, ცოდნის გაღრმავებაზე არ ზრუნავენ: მოწყენილი სახით სხედან იმ დროს როდესაც მათი სუსტი ამხანაგი მთელი თავისი ძლიერის დაჰყმვით ცდილობს დაძლიოს თუნდაც კითხვის ტექნიკა და დაუდევარ უყურადღებობას და გულგრილობას იჩენენ იმ დროს, როდესაც მათთვის ახალი მასალა მუშავდება აუდიტორიაში. საბედნიეროდ, ასეთი ხალხი თითებზე ჩამოითვლება, მაგრამ ჩვენი მისწრაფება იქითკენ უნდა იჩეს მიმართული, რომ ასეთი ჩვენი ახალგაზრდობის რიგებში ერთიც არ მოიპოვებოდეს.

ასეთია მოკლედ ის ნაკლი, რომლის წინაალმდეგ გვმართებს მედგარი ბრძოლის წარმოება, თუ გვსურს, რომ ჩვენი ახალგაზრდობა დაეუფლოს რუსულ ენას, როგორც მძლავრ იარაღს მეცნიერების და ტექნიკის დაუფლებისათვის

**ს. ვაჩნაძე.**

## მოვაწყვეთ თვითანგარიშზე საღამო

**(ეკ. ფაკ. თეორიული განყოფილება)**

საკ. ცაკის 1932 წლის 19 სექტემბრის დადგენილების რეალიზაციისთვის ტფ. სახ. უნივერსიტეტში გაშლილმა ბრძოლამ მნიშვნელოვანი ნაყოფი გამოიღო, რასაც ადასტურებს მთელ რიგ ჯგუფების მიერ აკადემიურ ფრონტზე მიღწეული წარმატებები. ასე, მაგალითად, ეკონომიური ფაკულტეტის თეორიული წარმატებები. მაგალითად, მე-2 კურსის მეშვიდე ჯგუფში თითეულ სტუდენტს საშუალო ნიშანი ყოველ საგანში აქვს 4,4, იმავე განყოფილების მე-3 კურსზე — **4,5 და** ა. შ. ეს აიხსნება იმით, რომ **პარტ**-კომკავშირის ორგანიზაციები აქ სათანადო ყურადღებას უთმობენ და ხელმძღვანელობას უწევენ სოც-შეჯიბრება-დამკვრელობას ცაკის დადგენილებათა რეალიზაციისათვის. პარტკომკავშირის ორგანიზაციები აქ არ დაკმაყოფილდენ მარტო ხელმძღვანელობითა და ყოველდღიური კონტროლით, არამედ ხელმძღვანელობას უწევენ ახალ თაოსნობასაც კიდევ მეტი წარმატებების მისაღწევათ. მაგალითად, ამ რამდენიმე ხნის წინად ეკ. ფაკ. თეორიული განყოფილების კომკავშირის უჯრედმა ჩაატარა აკადემიურ ფრონტზე ბრძოლის თვითანგარიშის საღამო, რომელზედაც წარმატებულმა ამხანაგებმა დამსწრეთ გაუზიარეს აკადემიურ წარმატებისათვის ბრძოლის გამოცდილება; შედარებით ჩამორჩენილმა ამხანაგებმა ამხილეს თავიანთი მუშაობის ნაკლოვანებები და ხელის შემშლელი პირობები. ეჭვს გარეშეა, რომ ამგვარი თვითანგარიშის საღამო ხელს უწყობს ჩამორჩენილთა დაწინაურებას.

კომკავშირის კომიტეტმა მოიწონა ეს ინიციატივა და მიიღო დადგენილება მუშაობის გაშლის შესახებ ამგვარი თვითანგარიშების მოსაწყობათ.

**ს. ფაჩულია.**

რედაქტორი: სარედაქციო კოლეგია.

სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. 68. მთავლიტი 2011